დინამოელთა მაღალი კლასი

საფრანგეთის პრესა "ბასტიისა" და თბილისის "დინამოს" მატჩის შესახებ

პარიზი. 23 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს თბილისის "დინამოსა" და საფრანგეთის "ბასტიის" მატჩის კომენტარს ევროპის თასების მფლობელთა თასზე.

ცნობილი გაზეთი "ეკიპი" წერს: "ამრიგად, "ბასტია" 4 ნოემბერს გაემგზავრება თბილისში ისე, რომ მცირეოდენი უპირატესობაც კა არა აქვს. სავსებით ნათელია, რომ ფურიანის სტადიონზე ფრედ დამთავრებული მატჩი (1:1) ძალიან ამცირებს მის შანსებს.

არსებითად, განსხვავება ამ ორი გუნდის დონეს შორის საკმარისად გარკვევით აისახა. "ბასტია" თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ შეზღუდული იყო თავისი შესაძლებლობებით. ხშირად იჩენდა თავს დაცვის სისუსტე. "დინამომ", რომელმაც დიდ უპირატესობას მიაღწია, მთლიანად გაამართლა ის კარგი სიტყვები, რასაც მასზე გამოთქვამდნენ დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასზე გამარჯვების შემდეგ.

მართალია, დინამოელთა მიერ გატანილი ბურთის შემდეგ მილამ საკმაოდ სწრაფად გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ "ბასტიას" არ ძალუძს გამარჯვების მოპოვება ამ მატჩში. საქართველოში მგზავრობა მომავალი თვის დასაწყისში უმძიმესი გამოცდა იქნება "ბასტიისათვის".

გაზეთი "იუმანიტე" წერს:

"ბასტიამ" ფრედ დაამთავრა მატჩი თბილისის "დინამოსთან" თავის მინდორზე და ეჭვგარეშეა, ნაბიჯი გადადგა ევროპული გათამაშებიდან გამოთიშვისაკენ.

ამავე დროს, ჩვენ არ შეგვიძლია რამე ვუსაყვედუროთ კორსიკელ ფეხბურთელებს, ვინაიდან მათ ყველაფერი გააკეთს მეტოქეთა დასამარცხებლად. მათთვის საუბედუროდ, კორსიკელები შეხვდნენ სუპერ-გუნდს, რომელიც, ჩვენი აზრით, სულ მცირედით თუ ჩამორჩება ევროპის ყველაზე ძლიერ კოლექტივებს. ყოველ შემთხვევაში, იმის მერე, რაც ჩვენ ვიხილეთ, სავსებით გასაგებია, როგორ აღწევს საუკეთესო შედეგებს სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც სანახევროდ თბილისის "დინამოს" მოთმაშეთაგან შედგება.

ქართველები, რომელთათვისაც დამახასიათებელია საბჭოთა ფეხბურთის ტრადიციული ღირსებები (კარგი ფიზიკური მომზადება და უნაკლო კოლექტიური თამაში), გამოირჩევიან ფანტაზიითა და მახვილგონივრულობით, რაც დიდი ხნის მანძილზე არ გააჩნდათ მოსკოვის, კიევისა და სხვა ფეხბურთელებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ფანტაზია მთელი სისრულით გამოჩნდეს 2 კვირის შემდეგ 90 ათასი მაყურებლის თვალწინ თბილისში".

"ფიგაროს" მიაჩნია, რომ პირველ ტაიმში თამაში მიმდინარეობდა "ბასტიისათვის" ერთგვარ ხელსაყრელ პირობებში. თუ მივმართავთ კრივის ტერმინოლოგიას, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ "ბასტია" წინაა ქულებით. მაგრამ თბილისელთა გუნდი თამაშობდა წყნარად და ჭეშმარიტად შეკავშირებულ, შედუღაბებულ კოლექტივად ჩანდა. მცირე უპირატესობა, რაც ქართველებმა გაინაღდეს ტაიმის დასასრულს, დამთავრდა სულაქველიძის შესანიშნავი დარტყმით.

სოლიდურობის, კოლექტიური ოსტატობის ეს შთაბეჭდილება დადასტურდა მაშინვე, როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ: ქართველები გადავიდნენ შეტევაზე და აღტაცება გამოიწვიეს თვიანთი ტექნიკით. თბილისის გუნდმა კარგად

დაგვიდასტურა, რომ მისი გამარჯვება თასების მფლობელთა თასის ფინალში შემთხვევითი არ ყოფილა”.

”ლელო”, 24 ოქტომბერი, 1981 წ.